საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

№2682 2019 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

1. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 193 800 (ას ოთხმოცდაცამეტი ათას რვაასი) ლარი, კერძოდ:

ა.ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 76 400 (სამოცდათექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი;

ა.ბ) ონის მუნიციპალიტეტს – 54 800 (ორმოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარი;

ა.გ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – 54 800 (ორმოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარი;

ა.დ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – 7 800 (შვიდი ათას რვაასი) ლარი;

ბ) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 2 578 000 (ორი მილიონ ხუთას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარის მიმართვა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტად და თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, უზრუნველყოს დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის აბონენტების სიების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიწოდება.

2. ამ განკარგულების ფარგლებში გაცემული ერთჯერადი დახმარება არ წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების საფუძველს და აღნიშნული ოჯახები თავისუფლდებიან ამ განკარგულების ფარგლებში მიღებული ერთჯერადი დახმარების თაობაზე კომპეტენტური ორგანოსთვის – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის შეტყობინების ვალდებულებისაგან. ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალოს, ხოლო შესაბამის მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ, ინფორმაცია იმ ოჯახების შესახებ, რომელთაც დახმარება გაეწიათ, აცნობონ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**